



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თიხნარის ბაზი



თიხნარის ბაზი

თიხნარის ბაზი (*Bombus argillaceus* Scopoli, 1763), სიფრიფანაფრთიანების (Hymenoptera) რიგისა და ფუტკრების ზეოჯახის (Apoidea) საზოგადოებრივი მწერი. აქვს შავი ფერის თავი და მუცელი, მკერდი დაფარული აქვს შავი და ყვითელი ბუსუსებისაგან შემდგარი ზოლებით, ულვაშები შავი ან ყავისფერია. გავრცელებულია ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში, დასავლეთ თურქმენეთსა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში. იბუდებს მინაში მღრღნელების მიერ მიტოვებულ სოროებში. იკვებება ყვავილის მტვრით და ნექტარით, ამტვერიანებს პარკოსნების, ბაიასებრთა,

ტუჩოსნების, რთულყვავილოვანთა, შავნამალასებრთა ოჯახების ყვავილებს. გადაშენების გზაზე მდგომი სახეობაა. შეტანილია „საქართველოს წითელ ნუსხაში“.

ი. სხირტლაძე
